ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N56

2021 წლის 3 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1.არჩეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისია (შემდგომში სამანდატო კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. გელა გოგიტიძე
2. თედო ტაკიძე
3. დავით ვერულიძე

2. სამანდატო კომისია:

ა) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს;

ბ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის წარდგენილი საჭირო დოკუმენტაციის (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებების, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენილი ფაქტების, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის) შესწავლას და ამის საფუძველზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს მოხსენებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ერთიანი სიით უფლებამოსილების ცნობისათვის.

3. სამანდატო კომისიას უფლებამოსილება უწყდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის შექმნისთანავე.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული
საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე დ.წულუკიძე